ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 1743463

გაცემის თარიღი: 23/02/2015 გაცნობის თარიღი: 23/02/2015

განცხადების ნომერი: AR1281831

შემოსვლის თარიღი: 27/01/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.36.012.026
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , ნაკვეთი 12/026
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1400.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ლალი მარგიანი (P/N: 01001012888)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლალი მარგიანი პ/ნ 01001012888
- მისამართი: გლდანი, 4-ე მ/რ, 110ბკორპუსი, ბ.82

ბრძანება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №644590 გადაწყვეტილების, 2014 წლის 6 ივნისის №1286468 ბრძანებისა და 2014 წლის 29 ივლისის №1400257 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 27 იანვრის NAR1281831 განცხადებით მომართეს ლალი მარგიანმა, ილია ხავთასმა და ქეთევან მურადხანიშვილმა და მოითხოვეს სამსახურის 18.04.2013წ. N644590 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების, აგრეთვე, 06.06.2014წ. N1286468 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და 29.07.2014წ. N1400257 მშენებლობის ნებართვების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 18.04.2013წ. N644590 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა ჯავახეთი, ნაკვეთი 12/026 (ს/კ 01.19.36.012.026) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე მისამართზე 06.06.2014წ. N1286468 ბრძანებით შეთანხმდა შერეული ფუნქციის შენობის (კომერციული, საოფისე) არქიტექტურული პროექტი, ხოლო 29.07.2014წ. N1400257 ბრძანებით, გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 30 ივლისიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლალი მარგიანის, ილია ხავთასის და ქეთევან მურადხანიშვილის 2015 წლის 27 იანვრის NAR1281831 განაცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 18 აპრილის №644590 გადაწყვეტილება, 2014 წლის 6 ივნისის №1286468 ბრძანება და 2014 წლის 29 ივლისის №1400257 ბრძანება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.